დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №127

10 თებერვალი 2015 წელი

ქ. დუშეთი

გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში თოვლის შედეგად გზებზე ჩამოწოლილი ზვავების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

მიმდინარე წლის თებერვალში, თოვლის დნობასთან დაკავშირებით ჩამოწოლილი ზვავების შედეგად ჩაიკეტა კიტოხი-ბაკურხევის, ჩოხი-ბურსაჭირის, ჩოხი - ბოსლის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთები. გზების გასაწმენდად საჭიროა სადიზელო საწვავის შეძენა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამგებლის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოების საკითხი და წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში თოვლის შედეგად გზებზე ჩამოწოლილი ზვავების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 300 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 450 ლარი.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის , სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გია ჭონქაძე);

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

4. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულში, მალხაზ წიკლაურს;
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3,4 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
პირველი მოადგილე, გამგებლის
მოვალეობის შესრულებელი /ბ. ღარიბაშვილი/